

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

მორე სექციის გადაწყვეტილება (არსებითი მხარე)

საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ (IV)

(საჩივარი N39611/18)

მუხ. 33 • სახელმწიფოთაშორისი საჩივარი • რუსეთის ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც გამოწვეულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის „ბორდერიზაციის“ შედეგად, რასაც მოჰყვება კონვენციის მრავალი დარღვევა

მუხ. 2 (მატერიალური და პროცედურული) • სიცოცხლე • ლეტალური ძალის გამოყენების ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც არ იყო „უკიდურესად აუცილებელი“ ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში შესვლას და გამოსვლას • გამონაკლის შემთხვევებში მე-2 მუხლის შესაბამისად შემოწმების პირობები დაკმაყოფილებულია გადარჩენილ მსხვერპლებთან მიმართებით • მოპასუხე სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია ეთნიკური ქართველების სიკვდილზე, რომლებიც ცდილობდნენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის (ABL) ალტერნატიული სახიფათო მარშრუტებით გადაკვეთას, აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ორგანოების მიერ დაწესებული მიმოსვლის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის გამო • ეფექტური გამოძიების ჩაუტარებლობის ადმინისტრაციული პრაქტიკა

მუხ. 3 (მატერიალური და პროცედურული) • არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა • ადმინისტრაციული პრაქტიკა ეთნიკური ქართველების დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის პირობებთან დაკავშირებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში • ეფექტური გამოძიების ჩაუტარებლობის ადმინისტრაციული პრაქტიკა

მუხ. 5(1) • კანონიერი დაკავება ან პატიმრობა • აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების უკანონო დაკავებისა და პატიმრობის ადმინისტრაციული პრაქტიკა, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „არალეგალური გადაკვეთისთვის“ • დასკვნები საქმეზე *Mamasakhlisi and Others v. Georgia and Russia*, რომლებიც ეხება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ორგანოებსა და სასამართლოებს, ორივე რეგიონთან მიმართებით

მუხ. 2 ოქმი 4 • საქართველოსა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ეთნიკური ქართველების მიმოსვლის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც წარმოიშვა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის სახელმწიფო საზღვრებად დე ფაქტო გადაქცევის შედეგად

მუხ. 8 • ოჯახური ცხოვრება • საცხოვრისი • მუხ. 1 ოქმი 1 • საკუთრებით მშვიდად სარგებლობა • ეთნიკური ქართველების თავიანთ სახლებთან, მიწასთან და სხვა ქონებასთან, აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სასაფლაოებზე წვდომის უკანონო შეზღუდვის ადმინისტრაციული პრაქტიკა

მუხ. 2 ოქმი 1 • განათლების უფლება • აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის ქართულ ენაზე განათლების უფლების უარყოფის ადმინისტრაციული პრაქტიკა • რეგიონები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ საქართველოს განუყოფელ ნაწილად; ამრიგად, ორივე მათგანში ქართული ერთ-ერთ ოფიციალურ ენად ითვლება • არანაირი მინიშნება იმისა, რომ სადავო ზომები ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს • უფლების თვით არსის დარღვევა, რაც მას ქმედითობას ართმევს

მომზადებულია სამდივნოს მიერ. სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის.

2024 წლის 9 აპრილი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებების შემთხვევაში. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ (IV),

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს“ (მეორე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

არნფინ ბორდსენი, თავმჯდომარე,
იოვან ილიევსკი,
ეგიდიუჯუს კურისი,
პაულინე კოსკელო,
ლადო ჭანტურია
ლორეინ სქემბრი ორლანდი,
დავორ დერენჩინოვიჩი, მოსამართლეები,
და ჰასან ბაკირჯი, სექციის განმწესრიგებელი,

2024 წლის 12 მარტის დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 33-ე მუხლის შესაბამისად 2018 წლის 22 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლოში საქართველოს მიერ (შემდგომში „მომჩივანი მთავრობა“) შეტანილი საჩივრის (N39611/18) საფუძველზე. მომჩივან მთავრობას სასამართლოში წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი ბ-ნი ბ. ძამაშვილი.
2. რუსეთის მთავრობას (შემდგომში „მოპასუხე მთავრობა“) წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა.
3. მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ შეწყვიტა ევროპის საბჭოს წევრობა და აღარ არის კონვენციის მაღალი ხელშემკვერელი მხარე, პალატის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, დაენიშნა დროებითი მოსამართლე კოლეგიის წევრთაგან, ანალოგიით გამოიყენა რა სასამართლოს რეგლამენტის 29-ე წესის მე-2(b) მუხლი (იხ. საქმე *Kutayev v. Russia*, no. 17912/15, §§5-9, 2023 წლის 24 იანვარი).
4. 2023 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სასამართლომ საჩივარი გამოაცხადა მისაღებად.
5. მომჩივანმა მთავრობამ, მაგრამ არა მოპასუხემ, წარმოადგინა წერილობითი დაკვირვებები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით (Rule 58 §1).
6. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ პალატამ გადაწყვიტა, რომ საქმის არსებითად განხილვა საჭირო არ არის.

ფაქტობრივი გარემოებები

საქმის გარემოებები

7. 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, რუსეთის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე¹ (ამ კონფლიქტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქმე *Georgia v. Russia (II)* [GC], no. 38263/08, 2021 წლის 21 იანვარი). 2008 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს ეს ორი რეგიონი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამ აღიარებას საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი არ დაუჭირა². აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებების საფუძველზე, რუსეთმა იქ ჩამოაყალიბა სამხედრო ბაზები და თითოეულ ამ ორ რეგიონში განათავსა 3800-მდე რუსი ჯარისკაცი. შემდგომი შეთანხმებების საფუძველზე შეიქმნა რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი სამხედრო ოლქი, რომელიც, ასევე სამხრეთ ოსეთის „სამხედრო შენაერთს“ აერთიანებდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან³.

8. გარდა ამისა, „საზღვრის დაცვის ერთობლივი ძალისხმევის შესახებ“ შეთანხმებების თანახმად⁴, რუსი მესაზღვრეები (რომლებიც ექვემდებარებოდნენ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს) იცავენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს (ABL) ამ სეპარატისტულ რეგიონებსა და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის. გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთში დაახლოებით 900 რუსი მესაზღვრეა, ხოლო აფხაზეთში – 1500-მდე მესაზღვრე⁵. 2009 წლიდან დაწყებული, ეტაპობრივად იქნა შემოღებული ფიზიკური ბარიერები და სხვა ზომები, რათა ადამიანებისთვის ხელი შეეშალათ სასაზღვრო ზოლის თავისუფლად გადაკვეთაში. როგორც საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) აღწერს⁶, ეს პროცესი, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ბორდერიზაციას“, მოიცავს სამ მთავარ ელემენტს: (1) ისეთი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნა, როგორცაა ღობეების გავლება, მავთულხლართები, საგუმბაგო კოშკურები, ნიშნები, რომლებიც ადამიანებს აუწყებენ, რომ ისინი უახლოვდებიან „საზღვრებს“, და თანამედროვე სათვალთვალო აღჭურვილობა, რათა გარეუბანში მცხოვრებლებმა, სატრანსპორტო საშუალებებმა და საქონელმა გაიარონ სასაზღვრო ზოლზე შექმნილი კონტროლირებადი გამშვები პუნქტები; (2) ზედამხედველობა და პატრულირება რუსი მესაზღვრეების ან უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების მიერ სეპარატისტული რეგიონებიდან, რომლებიც აკონტროლებენ მდგომარეობას და აკავებენ ადამიანებს, თუ ისინი არღვევენ დადგენილ წესებს; და (3) საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი, რომელიც გარეუბანში მაცხოვრებლებისგან მოითხოვს კონკრეტული დოკუმენტების ქონას და მხოლოდ „ოფიციალური“ საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამოყენებას⁷. გავრცელებული ინფორმაციით, ეს პროცესი გააქტიურდა 2013 წელს⁸. უკონტროლო გადასვლები ხშირი მოვლენა გახდა, როდესაც კონფლიქტის ზონის გასწვრივ არსებული შემოვლითი გზებით მოსარგებლე ადამიანები იყოფიან, რომ გვერდი აუარონ კონტროლირებად გამშვები პუნქტებს. ბევრ მათგანს, ვინც საზღვარს კვეთს კონტროლირებადი გამშვები პუნქტების ფარგლებს გარეთ, საზღვრის გადაკვეთის დოკუმენტები არ აქვს. სხვები საზღვარს კვეთენ არაკონტროლირებადი ბილიკების მეშვეობით, რადგან გამშვები პუნქტების მიმართულებით მგზავრობა ძალიან მოუხერხებელია⁹. კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის არ არის ცხადი, თუ სად მდებარეობს სასაზღვრო ზოლი (ჯერჯერობით სასაზღვრო ზოლის მხოლოდ გარკვეული ნაწილია მონიშნული)¹⁰.

9. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობა „ბორდერიზაციის“ პროცესს უკანონოდ მიიჩნევს. საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს საოკუპაციო ზოლად მოიხსენიებენ. განსხვავებით, რუსეთისა და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს განიხილავენ როგორც საერთაშორისო საზღვარს იმ საფუძველით, რომ რუსეთმა ეს ორი სეპარატისტული ერთეული დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

10. შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო მოცემულია წინამდებარე საქმეზე მისაღებობის შესახებ გადაწყვეტილებაში (იხ. საქმე *Georgia v. Russia(IV)* (dec.), N39611/18, §§1419, 2023 წლის 28 მარტი). მომჩივანმა მთავრობამ მიუთითა მრავალ სხვა საერთაშორისო მასალაზე. მათგან უახლესი ციტირებულია პარაგრაფებში 3031, 40-41, 61, 70 და 78 ქვემოთ.

11. „ამნესტი ინტერნეიშენალმა“ შემდეგნაირად აღწერა სიტუაცია (იხ. „მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციის“ ზიანი ადამიანის უფლებებისთვის საქართველოში“, 2018 წ., გვ. 5-6):

„2013 წელს საქართველოში, ხურვალეთში მცხოვრები 85 წლის დავით ვანიშვილი არჩევანის წინაშე დააყენეს რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც ფიზიკურად ამაგრებდნენ საზღვარს სეპარატისტულ სამხრეთ

ოსეთის/ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის, ხაზი, რომელიც მათი თქმით, მის სოფელში გადიოდა. მას შეეძლო საოჯახო სახლში დარჩენა ღობის ერთ მხარეს, რომელიც სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ნაწილად ითვლება, ან გადასულიყო მეორე მხარეს, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დარჩენილი ცხოვრება დევნილობაში გაეტარებინა. დავითმა დარჩენა აირჩია, მაგრამ მას ახლა თავისი ოჯახისა და მეგობრებისგან აშორებს მავთულხლართი, რომელიც კვეთს მის სოფელს. იმყოფებიან რა საზღვრის გადაკვეთისთვის დაკავების რისკის ქვეშ, ის და მისი მეუღლე არსებობენ ნათესავებისა და მეზობლების წყალობით, რომლებიც მის პენსიას, წამლებსა და სხვა საქონელს ღობეზე აწვდიან ღამით. მადლობის ნიშნად, მავთულხლართის თავის მხარეს ის უვლის მათი ნათესავების საფლავებს, რომლებთან ისინი ვეღარ მიდიან.

დავითი რჩება საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მემკვიდრეობად, კონფლიქტისა, რომლის ზიანსაც კვლავ ღრმად გრძნობენ შესაბამისი ტერიტორიების მცხოვრებლები მას შემდეგაც, რაც იმავე თვეში მიღწეულ იქნა შეთანხმება საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ. ის ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც გაყოფილი ან გადაადგილებული იქნა ე.წ. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მზარდი სეკურიტიზაციით, რომელიც გადის, ერთი მხრივ, საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებს – სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს, და მეორე მხრივ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის. თემები განცალკევებულია ერთმანეთისგან და მიწისგან, რომელიც მათ ინახავს. სოფლის მცხოვრებლებმა – ზოგიერთმა მათგანმა ქვეყნის უღარიბეს რაიონებში – დაკარგა წვდომა სამოვრებზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და ბაღებზე, ზაფხულში წყალსა და ზამთარში შეშაზე. ისინი მოწყვეტილი არიან ნათესავებისგან, შემოსავლის წყაროებისგან, კულტურული და სოციალური ცხოვრებისგან. ყოველწლიურად ასობით ადამიანს თვითნებურად აკავებენ გადაკვეთის მცდელობისას.

ამ დარღვევებიდან ბევრი პირდაპირ კავშირშია 2008 წლის და მანამდელი კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი გაყოფის ხაზების მეტად გაძლიერების მცდელობებთან – რაც რუკაზე მანამდე არსებულ წერტილოვან ხაზებს ფიზიკურ ბარიერად აქცევს. ამ პროცესს, რომელიც ცნობილია „ბორდერიზაციის“ სახელით, 2009 წლიდან ხელმძღვანელობს რუსეთის სამხედრო ძალები, რომლებიც ცდილობენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „საერთაშორისო საზღვრად“ გადაქცევას მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ. ეს მოიცავს ფიზიკური ბარიერების დამონტაჟებას, როგორცაა მავთულხლართები, ლითონის ან ხის ღობეები, თხრილები, ხანძარსაწინააღმდეგო ღრმულები ან არხები, ასევე „სასაზღვრო ნიშნების“ და სათვალთვალო აღჭურვილობის დაყენება, ადმინისტრაციული საზღვრის შემდგომი მონიშვნისა და უსაფრთხოების მიზნით.

...

მიმოსვლის თავისუფლებისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მახლობლად მცხოვრებთა თავისუფლების უფლებების უზრუნველყოფა მთავარ გამოწვევად რჩება. ხალხი ორივე მხარეს ცდილობს, გადაკვეთოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება, ნათესავების მონახულება, ვაჭრობა, სამედიცინო დახმარების, განათლების ან სოციალური შეღავათების მიღება და სასაფლაოების ან რელიგიური ადგილების მონახულება. თუმცა, საზღვრის გადაკვეთა შეზღუდული რაოდენობის დადგენილი გამშვები პუნქტების მიღმა და სათანადო დოკუმენტების გარეშე, რომელთა მოპოვება ხშირად რთულია და რუსეთისა და ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფლების ორგანოების მიერ უკანონოდ ითვლება. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ყოველწლიურად ასობით ადამიანს აკავებენ, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, როგორც ეთნიკურად ქართველებს, ასევე ეთნიკურად ოსებს. დაკავებულთა ნაწილი ამტკიცებს, რომ პატიმრობაში ყოფნისას მათ ცუდად ეპყრობოდნენ.

თავისუფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვებს ემატება გაურკვეველობა და ინფორმაციის ნაკლებობა პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთას და მის განლაგებას მოუნიშნავ ადგილებში. ასე, მაგალითად, რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა შეიძლება დააკავონ მცხოვრებლები „სახელმწიფო საზღვრის“ სავარაუდო გადაკვეთის გამო ან უბრალოდ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ახლოს ყოფნის გამო, თუმცა მათ ხშირად არ იციან, თუ სად გადის ის სინამდვილეში“.

12. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანახმად, მის მიერ საქართველოში გააქტიურებული ცხელი ხაზი 2011 წლიდან 2018 წლის სექტემბრამდე ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის გამო დაკავებასთან დაკავშირებით 2741-ჯერ ამოქმედდა (იხ. *EUMM Monitor*, გამოცემა 7, 2018 წლის ოქტომბერი, გვ. 4).

კანონმდებლობა

I. საქმის არსი

13. მომჩივანმა მთავრობამ თავისი არგუმენტები შემდეგნაირად წარმოადგინა:

„რუსეთის ხელისუფლებისა და რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ადმინისტრაციების „ხელისუფლების ორგანოების“ პირველი ადმინისტრაციული პრაქტიკა (რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო „ორგანოები“ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე) – დევნა, უკანონოდ „დაპატიმრება“ და „დაკავება“ ქართველებისა, რომლებიც ცდილობენ საოკუპაციო ხაზის „გადაკვეთას“ ან ცხოვრობენ მასთან ახლოს, მათი მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვით, მათი ნების საწინააღმდეგოდ „დაკავებით“ და ფიზიკური ცუდი მოპყრობით (რაც ზოგჯერ უთანაბრდება წამებას ან სიკვდილს) – ეს ადმინისტრაციული პრაქტიკა მოიცავს სისტემატურ ქმედებებს, რომლებიც არღვევს საოკუპაციო ხაზის ორივე მხრეს მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის კონვენციურ უფლებებს – კონვენციის მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება); მუხლი 3 (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვა); მუხლი 5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მუხლი 8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება – საცხოვრისზე და ნათესავების საფლავებზე წვდომის არქონა); მე-4 ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება); 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლი (საკუთრების დაცვა) და 1-ელი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება). მთავრობა ასევე ეყრდნობა კონვენციის მე-14 მუხლსა (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-18 მუხლს (უფლებების შეზღუდვა გამოყენების ფარგლებში);

რუსეთის ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ადმინისტრაციების „ხელისუფლების ორგანოების“ მეორე ადმინისტრაციული პრაქტიკა – ძალადობის სერიოზული დანაშაულის (მათ შორის, ფატალური ძალადობის) ჩამდენი დამნაშავეების მართლმსაჯულებისგან დაცვა, რომლებიც ჩაიდინეს „მესაზღვრებმა“ ან „თანამდებობის პირებმა“, რომელთა ქმედებებზეც პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაცია კონვენციის შესაბამისად, როგორც დადასტურებულია საქმეში *Georgia v. Russia (II)*, რაც წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა პირთა დაუსჯელობის პრაქტიკას, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაულები – ეს არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებისთვის მახასიათებელ პროცედურულ ვალდებულებას (სწრაფი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარების ვალდებულება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დამნაშავის იდენტიფიცირება, დევნა და დასჯა); და მუხლი 13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება.)“

14. ამასთან, მომჩივანი მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია კონვენციის 38-ე მუხლი, რადგან არ მიუწოდებია სასამართლოსთვის ყველა აუცილებელი საშუალება საქმის ფაქტების დასადგენად.

15. სასამართლოს მოთხოვნით, მომჩივანმა მთავრობამ წარმოადგინა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკის სავარაუდო მსხვერპლთა სიები. ეს სიები შეიცავდა ოცდაცამეტ და, შესაბამისად, სამოცდათექვსმეტ სახელს და თითოეული შემთხვევის დეტალურ აღწერას. თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით მთავრობამ ასევე წარმოადგინა სხვადასხვა მტკიცებულება, როგორცაა მოწმეების ჩვენებები, სასამართლო ექსპერტიზის ანგარიშები და, საჭიროების შემთხვევაში, გარდაცვალების მოწმობები. უმეტეს შემთხვევაში მითითებული იყო აგრეთვე მედიის სხვადასხვა ანგარიშზე ან/და მასალაზე, რომლებიც მომდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დამოუკიდებელი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ასოციაციებიდან. მომჩივანმა მთავრობამ ასევე წარმოადგინა „არალეგალური გადაკვეთისთვის“ დევნილთა დაკავებისა და პატიმრობის 2800-ზე მეტი სავარაუდო შემთხვევა, მათ შორის, სავარაუდო მსხვერპლთა სახელები, მათი დაბადების თარიღები და საცხოვრებელი ადგილები, აგრეთვე, მათი დაკავების თარიღები და ადგილები. რაც შეეხება სხვა სავარაუდო ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციას, მომჩივანმა მთავრობამ წარმოადგინა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე აღმართული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ფოტოები, აგრეთვე მითითებები მედიის მრავალ ანგარიშსა და მასალებზე, რომლებიც მომდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დამოუკიდებელი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ასოციაციებიდან (იხ. პარაგრაფი 10 ზემოთ).

II. საქმის დროში მოქმედება

16. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მთავრობა ჩიოდა, არსებითად, ზემოთ, მე-8 პარაგრაფში განსაზღვრული „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. ეს პროცესი დაიწყო 2009 წელს. შესაბამისად, 2009 წლამდე მომხდარი არცერთი მოვლენა არ განიხილება აღნიშნული ადმინისტრაციული პრაქტიკის საჩვენებლად.

17. დაბოლოს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაცია 2022 წლის 16 სექტემბრიდან აღარ არის კონვენციის მხარე, სასამართლოს აქვს იურისდიქცია, განიხილოს მომჩივანი მთავრობის საჩივრები, რამდენადაც ისინი ეხება ამ თარიღამდე მომხდარ ფაქტებს (იხილეთ, საქმე *Georgia v. Russia (IV)* (dec.), ციტირებული ზემოთ, §23 და მასში ციტირებული სხვა წყაროები).

III. მოპასუხე მთავრობის საქმის წარმოებაში არმონაწილეობა

18. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მოთხოვნისა, არსებით მხარესთან დაკავშირებით წერილობითი დაკვირვებების წარდგენის წარუმატებლობით (იხ. პარაგრაფი 5-ზემოთ) მოპასუხე მთავრობამ გამოთქვა თავისი განზრახვა, თავი შეიკავოს წინამდებარე საჩივრის შემდგომ განხილვაში მონაწილეობისგან. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის ევროპის საბჭოს წევრობის შეწყვეტა მას არ ათავისუფლებს კონვენციის ორგანოებთან თანამშრომლობის ვალდებულებისგან. ეს ვალდებულება გრძელდება მანამ, სანამ სასამართლო კომპეტენტურია, განიხილოს საჩივრები, რომლებიც ეხება ქმედებებს ან უმოქმედობებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის დარღვევას, იმ პირობით, რომ ისინი მოხდა იმ თარიღამდე, როდესაც მოპასუხე სახელმწიფომ შეწყვეტა კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ ყოფნა (იხ. საქმე *Svetova and Others v. Russia*, no. 54714/17, §§29-31, 2023 წლის 24 იანვარი). ვინაიდან წინამდებარე საქმე ეხება 2022 წლის 16 სექტემბრამდე მომხდარ ფაქტებს და სასამართლოს აქვს მათი განხილვის იურისდიქცია (იხ. პარაგრაფი 17-ზემოთ), მოპასუხე მთავრობის არმონაწილეობა სამართალწარმოებაში არ შეიძლება იყოს დაბრკოლება მისი განხილვისთვის.

IV. „ადმინისტრაციული პრაქტიკის“ ცნება

19. წინამდებარე საქმეში სასამართლოს სთხოვენ, შეამოწმოს, არსებობდა თუ არა „ადმინისტრაციული პრაქტიკა“ კონვენციის მე-2 (მატერიალური და პროცედურული), მე-3 (მატერიალური და პროცედურული), მე-5(1), მე-8, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლების, 1-ელი ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლებისა და მე-4 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევით (იხ. საქმე *Georgia v. Russia (IV)* (dec.), ციტირებული ზემოთ, §69). ამასთან დაკავშირებით ის მიუთითებს „ადმინისტრაციული პრაქტიკის“ ცნების განმარტებაზე, რომელიც აღწერილია საქმეში *Georgia v. Russia (I)* ([GC], no. 13255/07, §§ 122-24, ECHR 2014 (ამონარიდები)):

„122. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკა მოიცავს ორ ელემენტს: „ქმედებების გამეორება“ და „ოფიციალური ტოლერანტობა“ (იხ. საქმე *France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey*, nos. 9940-9944/82, კომისიის 1983 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები 35, გვ. 163, §19, და საქმე *Cyprus v. Turkey*, ციტირებული ზემოთ, §99).

123. რაც შეეხება „ქმედებების განმეორებადობას“, სასამართლო მას აღწერს როგორც „იდენტური ან ანალოგიური დარღვევების დაგროვებას, რომლებიც არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული იმისათვის, რომ შეიცავდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას“ (იხ. საქმე *Ireland v. the United Kingdom*, ციტირებული ზემოთ, §159, და საქმე *Cyprus v. Turkey*, ციტირებული ზემოთ, §115)

124. „ოფიციალურ შემწყნარებლობაში“ იგულისხმება, რომ უკანონო ქმედებები არის „შეწყნარებული“ იმ გაგებით, რომ უშუალოდ პასუხისმგებელი პირების ხელმძღვანელები, იმის მიუხედავად, რომ მათთვის ცნობილია ამ ქმედებების შესახებ, არავითარ ზომას არ იღებენ მათ დასასჯელად ან მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად; ან რომ ზემდგომი ორგანო არაერთი ბრალდების წინაშე ავლენს გულგრილობას თავისი სიმართლის ან ტყუილის სათანადო გამოძიებაზე უარის თქმით, ან რომ სასამართლო პროცესებში ასეთი საჩივრების სამართლიანი განხილვა უარყოფილია“. ამ უკანასკნელ ელემენტს კომისიამ დაამატა, რომ „ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ისეთი მასშტაბის, რომელიც საკმარისია ქმედებების განმეორების დასასრულებლად ან ნიმუშის ან სისტემის შესაწყვეტად“ (იხილეთ საქმე „საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, შვედეთი და ნიდერლანდები თურქეთის წინააღმდეგ“, ზემოთ ციტირებული, გვ. 163-64, §19). ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაუჯერებელია, რომ სახელმწიფოს ზემდგომმა ორგანოებმა არ იცოდნენ ან, სულ მცირე, ჰქონდათ უფლება, არ სცოდნოდათ ასეთი პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, კონვენციის თანახმად, ეს ორგანოები მკაცრად არიან პასუხისმგებელი მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების საქციელზე; მათ ევალებათ, ხელქვეითებს თავიანთი ნება დააკისრონ და ვერ ამოეფარებიან თავიანთ უუნარობას, უზრუნველყონ მისი დაცვა“ (იხილეთ საქმე „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ზემოთ ციტირებული, §159.“)

V. მტკიცების საკითხები

A. მტკიცების ტვირთი

20. სასამართლოს მიდგომა, რომელიც პირველად იქნა ჩამოყალიბებული საქმეში *Ireland v. the United Kingdom* (1978 წლის 18 იანვარი, §§160-61, Series A no. 25) ახლახან კიდევ ერთხელ დადასტურდა საქმეში

Cyprus v. Turkey ([GC], no. 25781/94, §§ 112-13 და 115, ECHR 2001IV) და საქმეში *Georgia v. Russia (I)* (ციტირებული ზემოთ, § 95) არის ის, რომ, როგორც ზოგადი წესი, მტკიცების ტვირთი არ ეკისრება ერთ მხარეს ან მეორე, რადგან სასამართლო განიხილავს მის წინაშე წარდგენილ ყველა მასალას, მიუხედავად მათი წარმოშობისა და, რამდენადაც მას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვოს მასალები საკუთარი ინიციატივით. მას შემდეგ ის ეყრდნობოდა მტკიცების ტვირთის ცნებას ზოგიერთ კონკრეტულ კონტექსტში. რამდენიმე შემთხვევაში მან აღიარა, რომ *affirmanti incumbit probatio* პრინციპის მკაცრი გამოყენება – ანუ, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდებასთან დაკავშირებით ეკისრება მხარეს, რომელიც ბრალს სდებს – შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გამართლებული იყო მტკიცებულებათა სპეციფიკური სირთულეებით, რომელთა წინაშე იდგნენ მომჩივნები (იხ. საქმე *Baka v. Hungary* [GC], no. 20261/12, §§143 და 149, 2016 წლის 23 ივნისი, შემდგომი მითითებებით, კონვენციის სხვადასხვა მატერიალურ მუხლთან მიმართებით, როდესაც მხოლოდ მოპასუხე მთავრობას აქვს წვდომა ინფორმაციაზე, რომელსაც შეუძლია მომჩივნის მტკიცებების დადასტურება ან გაქარწყლება).

21. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ეყრდნობა მტკიცებულებებს, რომლებსაც მხარეები ერთდროულად წარმოადგენენ, ის რეგულარულად, საკუთარი ინიციატივით სთხოვს მათ, წარმოადგინონ მასალები, რომლებსაც შეუძლია მის წინაშე წარდგენილი ბრალდებების დადასტურება ან გაქარწყლება. თუ მოპასუხე მთავრობა არ შეასრულებს ასეთ მოთხოვნას, სასამართლო ვერ აიძულებს მას შეასრულოს ის, მაგრამ შეუძლია – თუ მოპასუხე მთავრობა სათანადოდ არ განმარტავს მის წარუმატებლობას ან უარყოფას – გააკეთოს დასკვნები (იხ., *mutatis mutandis*, საქმე *Janowiec and Others v. Russia* [GC], nos. 55508/07 და 29520/09, §202, ECHR 2013, შემდგომი მითითებებით). მას ასევე შეუძლია ასეთი დასკვნების კონტექსტურ ფაქტორებთან კომბინირება. სასამართლოს რეგლამენტის წესი 44C §1 მას აძლევს მნიშვნელოვან დისკრეციას ამ საკითხში. ამავდროულად, მოპასუხე სახელმწიფოს წარუმატებლობამ, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა პროცესში, ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს მომჩივნის პრეტენზიების მიღება. სასამართლო არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია (იხ. საქმე *Svetova and Others*, ციტირებული ზემოთ, §30).

22. სასამართლოს შესაძლებლობა, გამოიტანოს დასკვნა მოპასუხე მთავრობის ქმედებიდან მის წინაშე არსებულ სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით აქტუალურია სიტუაციებში – მაგალითად, როდესაც ეხება სახელმწიფო პატიმრობაში მყოფ პირებს ან, როდესაც სახელმწიფო ზღუდავს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოების წვდომას იმ ტერიტორიაზე, სადაც ის ახორციელებს „იურისდიქციას“ კონვენციის 1-ელი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში – სადაც მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს აქვს წვდომა ინფორმაციაზე, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს ან გაქარწყლოს მომჩივნის ბრალდებები (იხ., სხვა წყაროებს შორის საქმე, *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, §152, ECHR 2012, და საქმე *Georgia v. Russia (IV)* (dec.), ციტირებული ზემოთ, §67).

B. მტკიცების სტანდარტი

23. სასამართლოს წინაშე მტკიცების სტანდარტი არის „გონივრულ ეჭვის მიღმა“ (იხ. საქმე *Georgia v. Russia (I)* [GC], no. 13255/07, §93, ECHR 2014 (ამონარიდები), მასში ციტირებული სხვა წყაროები). თუმცა, ეს სტანდარტი არ ემთხვევა ეროვნული სამართლებრივი სისტემების სტანდარტებს, რომლებშიც ის გამოიყენება. პირველი, მტკიცება შეიძლება დამოუკიდებელი იყოს საკმარისად მტკიცე, მკაფიო და შეთანხმებული დასკვნების ან ფაქტის ანალოგიურად შეურყეველი პრეზუმფციების თანაარსებობაზე. მეორე, დასკვნის გამოტანისთვის საჭირო დარწმუნების დონე დაკავშირებულია ფაქტების სპეციფიკურობასთან, ბრალდების ხასიათთან და კონვენციით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებასთან. სასამართლო მუდმივად იმეორებდა ამ საკითხებს (იხ., მაგ., *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, §314, 2017 წლის 28 ნოემბერი, შემდგომი მითითებებით).

C. მტკიცებულებების შეფასება

24. სასამართლოს მიდგომა, რომელიც ეხება მტკიცებულებების შეფასებას და ასევე დადგენილია საქმეში *Ireland v. the United Kingdom* (ციტირებული ზემოთ, § 210) და დადასტურებულია საქმეში *Georgia v. Russia (I)* (ციტირებული ზემოთ, §138) არის, რომ სასამართლოს უფლება აქვს, შეაფასოს მის წინაშე წარდგენილი თითოეული მტკიცებულების არა მხოლოდ მისაღებობა და შესაბამისობა, არამედ დამამტკიცებელი ღირებულება. საქმეში *Nachova and Others v. Bulgaria* ([GC], nos. 43577/98 და 43579/98,

§147, ECHR 2005-VII), სასამართლომ ეს საკითხი განმარტა იმით, რომ მტკიცებულებების შეფასებისას ის არ არის შეზღუდული ფორმულებით და მიდის დასკვნებამდე ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის, ისეთ დასკვნებამდე, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეთა მიერ წარდგენილი ფაქტებიდან და არგუმენტებიდან (იხ. ასევე საქმე *Georgia v. Russia (I)*, ციტირებული ზემოთ, §94). მან ასევე განაცხადა, რომ ის მგრძნობიარეა ნებისმიერი მტკიცებულებითი სირთულის მიმართ, რომელიც განიცადა მხარემ. სასამართლო თანმიმდევრულად იცავდა ამ პოზიციას და იყენებდა მას კონვენციის სხვადასხვა მუხლების შესაბამისად წარდგენილი საჩივრების მიმართ (იხ. საქმე *Baka*, ციტირებული ზემოთ, §143, შემდგომი მითითებებით). ვინაიდან სასამართლომ საბოლოოდ უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნები და მიაღწიოს საკუთარ დასკვნებს მომჩივნის ბრალდებებზე, ის დაეყრდნობა ყველა ხელმისაწვდომ მასალას, მათ შორის, შესაბამისი ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო დამკვირვებლების ფაქტობრივ დასკვნებს (იხ. საქმე *Kukhalashvili and Others v. Georgia*, nos. 8938/07 და 41891/07, §148, 2020 წლის 2 აპრილი).

VI. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

25. მომჩივანი მთავრობა დაეყრდნო მე-2 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

b) კანონიერი დაკავებისათვის ან/და კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

A. მხარეთა არგუმენტები

26. მომჩივანი მთავრობა ჩიოდა ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობის პრაქტიკაზე, რომლებიც ცდილობდნენ აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში შესვლას ან გამოსვლას, და ამ ბრალდებებზე შესაბამისი გამოძიების არარსებობის გამო, რაც არღვევს მე-2 მუხლის მატერიალურ და პროცედურულ ასპექტებს. ამ მიმართებით მათ მიუთითეს სამ საილუსტრაციო საქმეზე: კერძოდ, სამი ქართველის გარდაცვალებაზე; ესენია: დავით ბაშარული (სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2014 წლის 4 ივნისს დააკავა ძარცვის ბრალდებით და ის აღარ უნახავთ 2015 წლის 4 იანვრამდე, როდესაც მისი ცხედარი სამხრეთ ოსეთის ტყეში ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს; მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მის სხეულს აღენიშნებოდა ცემის ნიშნები); გიგა ოთხოზორია (ეთნიკურად ქართველი, რომელსაც უარი ეთქვა აფხაზეთში შესვლაზე, შემდეგ კი მას დაედევნა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების „მესაზღვრე“ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოკლა, 2016 წლის 19 მაისს); და არჩილ ტატუნაშვილი (ეთნიკურად ქართველი, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ დააკავა სეპარატისტულ რეგიონში შესვლის მცდელობისას. ის დაკითხეს 2008 წლის კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ და, მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წამებით მოკლეს). მომჩივანმა მთავრობამ ასევე წარმოადგინა ოცდაათი სხვა სავარაუდო მსხვერპლის სია მტკიცებულებებთან ერთად.

27. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

28. მე-2 მუხლი შეიცავს ორ მატერიალურ ვალდებულებას: სიცოცხლის უფლების კანონით დაცვის ზოგად ვალდებულებასა და სიცოცხლის განზრახ მოსპობის აკრძალვას, რომელიც შემოიფარგლება

გამონაკლისების სიით. მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისები მიუთითებს, რომ მე-2 მუხლი ვრცელდება განზრახ მკვლელობაზე, მაგრამ არა მხოლოდ. მე-2 მუხლის ტექსტი, წაკითხული მთლიანად აჩვენებს, რომ მე-2 პუნქტი უპირველესად არ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც დასაშვებია ადამიანის განზრახ მკვლელობა, მაგრამ აღწერს სიტუაციებს, რომლებშიც ნებადართულია „ძალის გამოყენება“, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობის არასასურველი შედეგი. თუმცა, ძალის გამოყენება უნდა იყოს არაუმეტეს „უკიდურესი აუცილებლობისა“, ქვეპუნქტებში (a), (b) და (c) მითითებული ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად (იხ. საქმე *Giuliani and Gaggio v. Italy* [GC], no. 23458/02, § 175, ECHR 2011 (ამონარიდები)). მისი ფუნდამენტური ხასიათის გათვალისწინებით, კონვენციის მე-2 მუხლი ასევე შეიცავს პროცედურულ ვალდებულებას, ეფექტურად იქნეს გამოძიებული მისი მატერიალური ასპექტის სავარაუდო დარღვევები (იხ. საქმე *Armani Da Silva v. the United Kingdom* [GC], no. 5878/08, § 229, 2016 წლის 30 მარტი).

2. შემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

29. სასამართლომ ყურადღებით გააანალიზა სავარაუდო მსხვერპლთა სია და ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც წარმოადგინა მოძივანმა მთავრობამ (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ). ამ სიაში შეტანილი ზოგიერთი ინციდენტი სცილდება ამ საქმის დროში მოქმედების ფარგლებს (იხ. პარაგრაფები 16-17 ზემოთ). გარდა ამისა, სიაში შეტანილ ზოგიერთ სხვა ინციდენტს აშკარა კავშირი არ აქვს „ბორდერიზაციის“ პროცესთან, რადგან ისინი არ მომხდარა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ან „საზღვრის დარღვევისთვის“ დაპატიმრების შემდეგ. მაგრამ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ სიიდან, სულ მცირე, ოცი ინციდენტი ხვდება წინამდებარე საქმის დროში მოქმედების ფარგლებს მიღმა, მათ შორის, აფხაზეთში მცხოვრები შვიდი ეთნიკურად ქართველის სიკვდილი ალტერნატიული მარშრუტებით ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის მცდელობისას, პენსიის ან მედიკამენტების მიღების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მოპასუხე მთავრობა არ ამტკიცებდა, მით უმეტეს, არ ასაბუთებდა, რომ ეს ინციდენტები არ მომხდარა.

30. მოძივანი მთავრობის მიერ წარდგენილი საერთაშორისო მასალები ასევე ეხება ლეტალური ძალის გამოყენების ან სიცოცხლის შემთხვევით დაკარგვის შემთხვევებს (იხ. პარაგრაფი 24 ზემოთ).

მაგალითად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2021 წლის 1 აპრილის კონსოლიდირებული ანგარიშის (SG/Inf(2021)10) შესაბამის ნაწილში საქართველოში კონფლიქტის შესახებ ნათქვამია:

„34. ზოგადად, გასული წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „გამშვები პუნქტების“ დახურვამ გამოიწვია სახიფათო პირობებში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „გამშვები პუნქტების“ მიღმა გადაკვეთის მცდელობების რიცხვის ზრდა, რაც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და იწვევს უკანონო დაკავებისა და დაჯარიმების შემთხვევებს“.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2022 წლის 3 ნოემბრის კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამის ნაწილში საქართველოში კონფლიქტის შესახებ (ციტირებული ზემოთ) ნათქვამია:

„36. დელეგაციას, კერძოდ, შეატყობინეს, რომ საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით გიგა ოთხოზორიას, დავით ბაშარულისა და არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების, აგრეთვე, ირაკლი კვარაცხელიასა და ინალ ჯაბიევის გარდაცვალების გამოძიებაში პროგრესი არ ყოფილა.“

31. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი ინციდენტები საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ). გარდა ამისა, ამ ინციდენტებზე ეფექტური გამოძიების აშკარა ნაკლებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტი (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ) ასევე დადგენილია გონივრულ ეჭვს მიღმა.

32. რაც შეეხება მე-2 მუხლთან ამ პრაქტიკის თავსებადობის საკითხს, სასამართლომ პირველად განიხილა ინციდენტები, რომლებშიც მსხვერპლს სცემეს ან ესროლეს რუსმა ან დე ფაქტო აფხაზმა და სამხრეთ ოსეთის აგენტებმა. მართალია, ზოგი ადამიანი, რომლებსაც რუსმა აგენტებმა ესროლეს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან გადარჩა, სასამართლომ დაადგინა, რომ გამონაკლის გარემოებებში, ისეთი მოსაზრებებიდან გამომდინარე, როგორცაა გამოყენებული ძალის ხარისხი და ტიპი და დაზიანებების ხასიათი, ძალის გამოყენება სახელმწიფო აგენტების მიერ, რომელსაც არ

მოპყროლია სიკვდილი, შეიძლება წარმოადგენდეს მე-2 მუხლის დარღვევას, თუ სახელმწიფო აგენტების საქციელი, თავისი ხასიათით, აყენებს მომჩივნის სიცოცხლეს სერიოზული რისკის ქვეშ, თუნდაც ეს უკანასკნელი გადარჩეს (იხ. საქმე *Makaratzis v. Greece* [GC], no. 50385/99, §55, ECHR 2004XI). სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს პირობები დაკმაყოფილებულია წინამდებარე საქმეში. ის ასევე მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფო არ ამტკიცებდა, მით უმეტეს, არ ასაბუთებდა, რომ ძალის გამოყენება არ იყო უფრო მეტი, ვიდრე „უკიდურესი აუცილებლობა“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება მათ, ვინც დაიღუპა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ალტერნატიული მარშრუტებით გადაკვეთის მცდელობისას, (იხ. პარაგრაფი 29 ზემოთ), სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ყოველი ადამიანის უსაფრთხოების აბსოლუტური დონის გარანტია ნებისმიერ საქმიანობაში, რომელშიც სიცოცხლის უფლება შეიძლება საფრთხის ქვეშ იდგეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაბამის პირს ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევაზე, რადგან საკუთარი თავი დააყენა გაუმართლებელი საფრთხის წინაშე (იხ., მაგ., *Çakmak v. Turkey* (dec.), no. 34872/09, §35, 2017 წლის 21 ნოემბერი). თუმცა, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაზარალებულები იძულებული გახდნენ სახიფათო მარშრუტები გაევლოთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული გადაადგილების თავისუფლების უკანონო შეზღუდვის გამო (იხ. პარაგრაფი 63 ქვემოთ), სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ჩართულია ამ გარდაცვალებებში.

33. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას, რომ არსებობდა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

34. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას, რომ არ ჩატარებულა განსახილველი ინციდენტების ეფექტური გამოძიება და, შესაბამისად, არსებობდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

VII. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

35. მომჩივანი მთავრობა დაეყრდნო მე-3 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.

A. მხარეთა არგუმენტები

36. მომჩივანი მთავრობა ჩიოდა მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტის შესაბამისად, რომ რამდენიმე ეთნიკურად ქართველი, რომელიც დააკავეს რუსეთის ან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ორგანოებმა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „არალეგალურად გადაკვეთის“ გამო, შემდგომში ჩიოდა პატიმრობაში ყოფნისას ცუდი მოპყრობის ან/და არაადამიანური პირობების შესახებ. ამ მიმართებით, მათ წარმოადგინეს სავარაუდო მსხვერპლთა სია მტკიცებულებით მასალებთან ერთად (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ).

37. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

38. სასამართლო იმეორებს თავის პრეცედენტულ სამართალს კონვენციის მე-3 მუხლის შესახებ, რომელიც შეაჯამა თავის პილოტურ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Ananyev and Others v. Russia* (nos. 42525/07 და 60800/08, §13942, 2012 წლის 10 იანვარი) და გაიმეორა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Idalov v. Russia* ([GC], no. 5826/03, §§ 9194, 2012 წლის 22 მაისი):

„...მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. კონვენცია უპირობოდ კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას დაზარალებულის ქცევის მიუხედავად (იხ., მაგალითად, საქმე *Labita v. Italy* [GC], 26772/95, §119, ECHR 2000IV). ცუდმა მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ დონეს უნდა მიაღწიოს, რომ ის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოხდეს. ამ მინიმუმის შეფასება

პირობითია: ის დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ზეგავლენა და, ზოგ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხილეთ სხვა წყაროებს შორის, საქმე „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, §162, სერია A no. 25).

ცუდი მოპყრობა, რომელიც სისასტიკის მინიმალურ დონეს აღწევს, ჩვეულებრივ, გულისხმობს სხეულის რეალურ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას. თუმცა, ცუდი მოპყრობის გარეშე, როდესაც მოპყრობა კერძო პირისთვის დამამცირებელი ან ღირსების შემლახველია, შეურაცხყოფს ან აკნინებს მის ადამიანის ღირსებას, ან აღძრავს შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების გრძობას, რასაც შეუძლია გატეხოს ადამიანის მორალური და ფიზიკური წინააღმდეგობა, ეს შეიძლება დახასიათდეს, როგორც დამამცირებელი და ასევე მოექცეს მე-3 მუხლის აკრძალვების ქვეშ (იხილეთ სხვა წყაროებს შორის, საქმე *Vasyukov v. Russia*, no. 2974/05, §59, 2011 წლის 5 აპრილი).

სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დროს ტანჯვასა და დამცირებაზე მე-3 მუხლი უნდა გავრცელდეს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც დაკავების პირობებში ტანჯვა და დამცირება წინასწარ დადგენილ ზღვარს სცდება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაკავებული პირი ისეთ პირობებში იმყოფებოდეს, რომ დაცული იქნეს მისი ადამიანის ღირსება, რომ ღონისძიების განხორციელების წესი და მეთოდი არ აყენებდეს მას ისეთ ტანჯვასა და აგდებდეს მას მძიმე მდგომარეობაში, რაც აღემატება დაკავებასთან დაკავშირებული ტანჯვის წინასწარ განსაზღვრულ დონეს და, რომ მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ იყოს დაცული პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით (იხილეთ საქმე *Kudła v. Poland* [GC], 30 30210/96, §§ 92-94, ECHR 2000XI და საქმე *Popov v. Russia*, 26853/04, §208, 2006 წლის 13 ივლისი).

დაკავების პირობების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ პირობების კუმულაციური ზეგავლენა, აგრეთვე, მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები (იხ. საქმე *Dougoz v. Greece*, no. 40907/98, §46, ECHR 2001-II). გასათვალისწინებელია იმ პერიოდის ხანგრძლივობაც, რომლის განმავლობაშიც ადამიანი დაპატიმრებულია კონკრეტულ პირობებში (იხ., სხვა წყაროებს შორის, საქმე *Alver v. Estonia*, no. 64812/01, §50, 2005 წლის 8 ნოემბერი)“.

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

39. სასამართლომ ყურადღებით გააანალიზა სავარაუდო მსხვერპლთა სია და ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც წარმოადგინა მომჩივანმა მთავრობამ (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ). ამ სიაში შეტანილი ზოგიერთი ინციდენტი სცილდება ამ საქმის დროში მოქმედების ფარგლებს (იხ. პარაგრაფები 16-17 ზემოთ). გარდა ამისა, სიაში შეტანილ ზოგიერთ სხვა ინციდენტს აშკარა კავშირი არ აქვს „ბორდერიზაციის“ პროცესთან, რადგან სავარაუდო ცუდ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ან „საზღვრის დარღვევისთვის“ დაპატიმრების შემდეგ. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ სიაში მოყვანილი ინციდენტებიდან, სულ მცირე, ორმოცდაათი შედის წინამდებარე საქმის მოქმედების სფეროში (მათგან მინიმუმ ოცი ეხება აფხაზეთს, ხოლო მინიმუმ ოცდაათი – სამხრეთ ოსეთს). მოპასუხე მთავრობა არ ამტკიცებდა, მით უმეტეს, არ ასაბუთებდა, რომ ეს ინციდენტები არ მომხდარა.

40. მომჩივანი მთავრობის მიერ წარდგენილი საერთაშორისო მასალები ასევე ეხება ცუდი მოპყრობის შემთხვევებს (იხ. პარაგრაფი 24 ზემოთ).

მაგალითად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2017 წლის 11 აპრილის კონსოლიდირებული ანგარიშის (SG/Inf(2017)18) შესაბამის ნაწილში საქართველოში კონფლიქტის შესახებ ნათქვამია:

„44. მოსალოდნელია, რომ გამშვები პუნქტების რაოდენობის შემცირება აუცილებლად გამოიწვევს დაკავებების რაოდენობის ზრდას, რაც რეგულარულად ხდება „არასანქცირებული“ გამშვები პუნქტების გადაკვეთისას ან/და იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტების არარსებობის გამო. საქართველოს უშიშროების სამსახურის ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან დაფიქსირდა დაკავების 190 შემთხვევა. თუმცა, როგორც წესი, ხანმოკლე დაკავების და „ჯარიმის“ გადახდის შემდეგ დაკავებულები მალევე თავისუფლდებოდნენ, დელეგაცია აგრძელებდა შეტყობინებების მიღებას არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებით. ...“

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2018 წლის 11 აპრილის კონსოლიდირებული ანგარიშის (SG/Inf(2018)15) შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„54. ...დელეგაციასთან შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა გამოთქვა შეშფოთება ცხინვალის იძულებითი დაკავების დაწესებულებებში გამოყენებული ცუდი მოპყრობის შესახებ ბრალდებებთან დაკავშირებით“.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2022 წლის ანგარიშში საქართველოსთან

თანამშრომლობის შესახებ (A/HRC/51/64, 2022 წლის 12 ივლისი), კერძოდ, ნათქვამია შემდეგი:

„48. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი აგრძელებს ანგარიშების მიღებას თავისუფლების თვითნებური ხელყოფისა და ცუდი მოპყრობის შესახებ როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში.

41. დაბოლოს, აფხაზეთის ციხეებში მატერიალური პირობები აღწერილი იყო თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს 2017 წლის ანგარიშში „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, როგორც „იმდენად ცუდი, რომ შესაძლოა იწვევდეს ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს“. ანგარიშის შესაბამისი ნაწილში ვკითხულობთ (გვ. 23-24):

„ჩვენ მოვინახულეთ მთავარი ციხე დრანდაში, სადაც იმ დროისათვის ჰყავდათ 278 პატიმარი. ასევე ვეწვიეთ სოხუმში წინასწარი დაკავების იზოლატორს, სადაც 42 პირი იყო მოთავსებული და რომელიც პრაქტიკაში რეგულარულ ციხეს წარმოადგენს ქალებისა და არასრულწლოვანებისთვის.

ფიზიკური პირობები ამ ორ დაწესებულებაში იმდენად ცუდია, რომ შესაძლოა იქ მყოფ ადამიანებს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნას, მათ შორის, ფსიქოლოგიური. ...

თანამდებობის პირებს, რომლებთანაც განვიხილეთ ეს ხარვეზები, არ უცდიათ ამ პრობლემების დამალვა. პირიქით, მათ ღრმა შეშფოთება გამოიჩინეს შექმნილი ვითარების გამო და გამოთქვეს უკმაყოფილება მატერიალური რესურსების ნაკლებობაზე“.

42. მომჩივანმა მთავრობამ განაცხადა და მოპასუხე მთავრობას არ უარუყვია, რომ აფხაზეთში „საზღვრის დარღვევისთვის“ დაკავებული მრავალი ეთნიკურად ქართველი პატიმრობაში ასეთ პირობებში იმყოფებოდა და რომ პატიმრობის მატერიალური პირობები არ იყო უკეთესი სამხრეთ ოსეთშიც (რაც შეეხება ასეთ პირთა რაოდენობას, იხ. პარაგრაფი 52 ზემოთ).

43. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი ინციდენტები საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ). გარდა ამისა, ამ ინციდენტებზე ეფექტური გამოძიების აშკარა ნაკლებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტი (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ) ასევე დადგენილია გონივრულ ეჭვს მიღმა.

44. რაც შეეხება მე-3 მუხლთან ამ პრაქტიკის თავსებადობის საკითხს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან აშკარად მიაღწია სიმძიმის მინიმალურ დონეს, რომელიც საჭიროა, რათა მოხვდეს ამ მუხლის მოქმედების სფეროში.

45. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას, რომ არსებობდა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

46. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას, რომ არ ჩატარებულა განსახილველი ინციდენტების ეფექტური გამოძიება და, შესაბამისად, არსებობდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

VIII. კონვენციის მე-5(1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

47. მომჩივანი მთავრობა დაეყრდნო მე-5(1) მუხლს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

(a) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;

(b) კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შესრულებლობისათვის, ან/და კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადაგინად,

როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

(d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

(e) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის კანონიერი დაპატიმრება;

(f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

A. მხარეთა არგუმენტები

48. მომჩივანი მთავრობა ამტკიცებდა, რომ რუსეთის და სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლება თითქმის ყოველდღიურად აკავებდა ეთნიკურ ქართველებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „არალეგალურად გადაკვეთისთვის“ და ამტკიცებდა, რომ ყველა ასეთი დაკავება გარდაუვალად უკანონო იყო, რადგან არც რუსეთის და არც დე ფაქტო ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ საქართველოს ტერიტორიაზე „კანონიერი“ დაპატიმრების ან დაკავების ბრძანების გაცემა, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში.

49. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

50. მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში კარგად არის დადგენილი, რომ თავისუფლების აღკვეთა არა მხოლოდ უნდა ეფუძნებოდეს (a)-(f) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ ერთ-ერთ გამონაკლისს, არამედ ასევე უნდა იყოს „კანონიერი“. იმის დადგენისას, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა უნდა განხორციელდეს „კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად“, მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ ნებისმიერ დაპატიმრებას ან დაკავებას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ჰქონდეს კანონიერი საფუძველი. თუმცა, ეს სიტყვები მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას არ ეხება. ისინი ასევე ეხება კანონის ხარისხს, რომელიც მოითხოვს მის თავსებადობას კანონის უზენაესობასთან, რაც წარმოადგენს კონვენციის ყველა მუხლისთვის დამახასიათებელ კონცეფციას (იხ., მაგ., საქმე *Del Río Prada v. Spain* [GC], no. 42750/09, §125, ECHR 2013).

51. სასამართლომ ჩამოაყალიბა პრეცედენტულ სამართალში დადგენილი ზოგადი პრინციპები არადიარეზული სუბიექტების ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Mozer v. the Republic of Moldova and Russia* ([GC], no. 11138/10, §§136-41, 2016 წლის 23 თებერვალი).

2. შემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

52. მომჩივანმა მთავრობამ წარმოადგინა 2800-ზე მეტი სავარაუდო შემთხვევის სია ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის „არალეგალური გადაკვეთისთვის“ დაკავებისა და პატიმრობის შესახებ (იხ. პარაგრაფი 15-ზემოთ). მოპასუხე მთავრობა არ ამტკიცებდა, მით უმეტეს, არ ასაბუთებდა, რომ ეს ინციდენტები არ მომხდარა. გარდა ამისა, ასეთი დაკავებების ფართომასშტაბიანი ხასიათი ამკარაა მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო მასალებიდან. მაგალითად, საქართველოში EUMM-ის მიერ შექმნილი ცხელი ხაზი 2 741-ჯერ ამოქმედდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის კვეთისთვის დაკავებებთან დაკავშირებით 2011 წლიდან 2018 წლის სექტემბრამდე პერიოდში (იხ. პარაგრაფი 12-ზემოთ). სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ინციდენტები საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19-ზემოთ). რაც შეეხება ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტს (იხ. პარაგრაფი 19-ზემოთ), ის აღნიშნავს, რომ დაკავებებისა და პატიმრობის პრაქტიკა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის

„უკანონო გადაკვეთისთვის“ არის რუსეთის ფედერაციის და სეპარატისტული რეგიონების ოფიციალური პოზიციის პირდაპირი შედეგი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი ითვლება საერთაშორისო საზღვრად (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ).

53. რაც შეეხება ამ პრაქტიკის შესაბამისობას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან, სასამართლომ დაადგინა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ შეეძლო „კანონიერი დაკავების ან დაპატიმრების“ ბრძანების გაცემა მე-5 მუხლის 1 (a) და (c) პუნქტების მნიშვნელობის ფარგლებში შემდეგი მიზეზების გამო (იხ. საქმე *Mamasakhlishi and Others v. Georgia and Russia*, nos. 29999/04 და 41424/04, §§425-27, 2023 წლის 7 მარტი):

„425. უბრუნდება რა წინამდებარე საჩივარს, სასამართლო აღნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ მიუწოდებია მისთვის ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სპეციფიკური დებულებების შესახებ, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პირველი და მესამე მომჩივნის დაკავებისა და დაპატიმრებისთვის. თუმცა, თუ ვივარაუდებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და სასამართლოების ქმედებები შეესაბამებოდა ადგილობრივ კანონმდებლობას, რომელიც მოქმედებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც მოხდა გასაჩივრებული ფაქტები, მაშინ ეს ქმედებები, პრინციპში, უნდა ჩაითვალოს როგორც ქმედებები, რომლებსაც ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, კონვენციის მიზნებისთვის. იმავდროულად, სასამართლოსთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა მას, დაედგინა, შეესაბამება თუ არა მომჩივნების მიმართ გამოყენებული სამართლებრივი დებულებები კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლო ასევე აღნიშნავს აფხაზეთის სამართლებრივი და სასამართლო სისტემის შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროების ნაკლებობას – ფაქტი, რომელიც ართულებს მოქმედი კანონების მკაფიო სურათის მოპოვებას. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია გადაამოწმოს, შეესაბამება თუ არა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება და სასამართლოები, ისევე როგორც პრაქტიკა, რომელსაც ისინი იყენებენ ზემოხსენებულ მოთხოვნებს.

426. ასევე არ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ რეგიონს აქვს კონვენციასთან თავსებადი სასამართლო ტრადიციის ამსახველი სისტემა, როგორც არის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (შეადარეთ და შეუპირისპირეთ ჩრდილოეთ კვიპროსის სიტუაცია, რომელიც მითითებულია საქმეში *Cyprus v. Turkey*, ციტირებული ზემოთ, §§231 და 237). ქართულ და დე ფაქტო აფხაზეთს სასამართლო სისტემებს შორის გაყოფა მოხდა 1990-იანი წლების დასაწყისში – ბევრად ადრე, ვიდრე საქართველო 1999 წელს შეუერთდებოდა ევროპის საბჭოს. გარდა ამისა, საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო მას შემდეგ, რაც საპარლამენტო ასამბლეამ დაადგინა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემაზე დაფუძნებული პლურალისტური საზოგადოების შექმნაში და, რომ მას შეეძლო და სურდა, ევროპის საბჭოს წესდების მე-4 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, გაეგრძელებინა მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, ქვეყნის მთელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპის საბჭოს პრინციპებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (იხ. საპარლამენტო ასამბლეის დასკვნა N209 (1999) საქართველოს ევროპის საბჭოს წევრობაზე განაცხადის შესახებ). ამ კონტექსტში საქართველომ აიღო მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებებისა, რომელთა შესრულება ექვემდებარება ასამბლეის კომიტეტის მუდმივ მონიტორინგს წევრი ქვეყნების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაზე. მსგავსი ანალიზი ან მონიტორინგი არ განხორციელებულა დე ფაქტო აფხაზეთის სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც, შესაბამისად, არასოდეს ყოფილა იმ სისტემის ნაწილი, რომელიც ასახავს სასამართლო ტრადიციას და თავსებადია კონვენციის პრინციპებთან, 1990-იანი წლების დასაწყისში განცალკევებულ სასამართლო სისტემებად დაყოფამდე (იხ. საქმე *Mozer*, ციტირებული ზემოთ, §148)“.

54. საპირისპიროს შესახებ რაიმე ახალი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს დასკვნა კვლავ ძალაში რჩება აფხაზეთთან მიმართებით. გარდა ამისა, სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად.

55. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას გონივრულ ეჭვს მიღმა, რომ არსებობდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

IX. მე-4 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

56. მე-4 ოქმის მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.

2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.

3. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დაწესება, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის ინტერესებისათვის ან/და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

4. ზოგიერთ სივრცეში 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლება ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც შემოღებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით.

A. მხარეთა არგუმენტები

57. მომჩივანი მთავრობა ამტკიცებდა, რომ „ბორდერიზაციის“ პროცესმა გამოიწვია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმოსვლის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

58. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

B. სასამართლოს შეფასება

1. წინასწარი შენიშვნა

59. წინამდებარე საქმეში სასამართლო შემოიფარგლება მომჩივანი მთავრობის საჩივრის განხილვით, რომელიც ეხება ეთნიკური ქართველების ყოველდღიურ მიმოსვლის თავისუფლებაზე „ბორდერიზაციის“ პროცესის გავლენას. ის არ განიხილავს ეთნიკური ქართველების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახლებში დაბრუნების საკითხს, რადგან ეს საკითხი სასამართლომ უკვე განიხილა (იხ. საქმე *Georgia v. Russia (II)*, ციტირებული ზემოთ, §299).

2. ზოგადი პრინციპები

60. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაადგილების უფლების შეზღუდვის ნებისმიერი ზომა უნდა შეესაბამებოდეს კანონს (იხ. საქმე *De Tommaso v. Italy* [GC], no. 43395/09, §104, 2017 წლის 23 თებერვალი, და საქმე *Gartukayev v. Russia*, no. 71933/01, §21, 2005 წლის 13 დეკემბერი). არაღიარებული სუბიექტების ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, იხ. საქმე *Mozer* (ციტირებული ზემოთ, §§136-41).

3. შემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები ამ საკითხთან დაკავშირებით ეხება საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო შეზღუდვას, რაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის სახელმწიფო საზღვრად გარდაქმნის შედეგია. შესაბამისად, ისინი ექვემდებარება განხილვას მე-4 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში. ეს ბრალდებები არ გაუსაჩივრებია მოპასუხე მთავრობას. გარდა ამისა, ისინი დასტურდება მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო მასალებით (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ).

მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2022 წლის ანგარიშში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (A/HRC/51/64, 2022 წლის 12 ივლისი), კერძოდ, ნათქვამია შემდეგი:

„41. მიმოსვლის თავისუფლების დაბრკოლებები არის როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთში და მიმდებარე ტერიტორიებზე, კერძოდ, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ. ამგვარი შეზღუდვები კვლავაც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, რაც კიდევ უფრო აღრმავებს სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები თემების იზოლაციას. ამ შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაზე, ჯანდაცვაზე, პენსიებზე, ბაზრებსა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სხვა სერვისებზე ისედაც შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე.

42. საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის ივლისში მოიხსნა შეზღუდვები, რომლებიც შემოღებული იყო 2020 წლის მარტში და თითქოსდა მიზნად ისახავდა კოვიდ-19-ის გავრცელების შეკავებას აფხაზეთსა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ორ მთავარ გამშვებ პუნქტზე. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა შესაძლებელი გახდა ენგურის მთავარი გამშვები პუნქტის (სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა) და საბერიო-ფახულანის სასაზღვრო გამშვები პუნქტის (მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა) გავლით, ეს უკანასკნელი ძირითადად ემსახურება მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების გაცილებით მცირე ჯგუფის საჭიროებებს. დანარჩენი

გამშვები პუნქტები დახურული რჩებოდა. არსებული ინფორმაციით, ორივე გამშვებ პუნქტზე დროებითი შეზღუდვები აფხაზეთიდან თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმავალთათვის (მედიცინის მუშაკებისა და პაციენტების, სკოლის მოსწავლეებისა და ენგურჰესის თანამშრომლების გარდა) მაკონტროლებელმა ხელისუფლებამ დააწესა 2021 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ორი ტურის განმავლობაში. წინა წლებში ეს შეზღუდვები არ მოქმედებდა თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებული არჩევნების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი, ზოგადად, გადაკვეთისთვის 2021 წლის ივლისში გაიხსნა, გადაადგილება მაინც შემოიფარგლებოდა „საზღვარგარეთ მუდმივი ბინადრობის ნებართვის“ ან აფხაზური „პასპორტის“ მფლობელთათვის, ხოლო ფორმა N 9-ის, დროებითი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ეთნიკურ ქართველებზე საზღვრის გადაკვეთის მიზნებისთვის განახლება და გაცემა შეჩერდა. დახურვამ და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შესაბამისი ადამიანების სიცოცხლესა და საარსებო წყაროზე, მათ შორის, ხანდაზმულთა და სხვა მოწყვლადი მოსახლეობის, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობაზე.

43. სხვადასხვა წარდგინების თანახმად, 2019 წლის სექტემბერში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის განუსაზღვრელი დროით ჩაკეტვა სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელი ხელისუფლების მიერ, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ჩორჩანაში პოლიციის განყოფილების გახსნის შემდეგ, კვლავ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ძირითადად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებებზე ახალგორის რაიონში. საქართველოს მთავრობამ გამოთქვა შეშფოთება, რომ ახალგორის რაიონის მცხოვრებლები აწყდებოდნენ სირთულეებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის კვეთის ნებართვის მოპოვებისას, რათა მიეღოთ სამედიცინო მომსახურებები, პენსიები და სოციალური მომსახურება თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

44. არსებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ პერსონალური დოკუმენტების მისაღებად გამოყენებული ზომები და პრაქტიკა კვლავ უარყოფით გავლენას ახდენდა შესაბამისი მოსახლეობის ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე“.

62. სასამართლო მიიჩნევს, რომ ინციდენტები, რომლებზეც მიუთითებს საერთაშორისო მასალები, საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ). ითვალისწინებს რა სადავო ზომების მარეგულირებელ ხასიათსა და მათ გამოყენებას ყველა შესაბამისი ადამიანის მიმართ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტი (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ) ასევე დადგენილია გონივრულ ექვს მიღმა.

63. უბრუნდება რა ამ პრაქტიკის მე-4 ოქმის მე-2 მუხლთან შესაბამისობის საკითხს, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ შეეძლო „კანონიერი დაპატიმრების“ ბრძანების გაცემა მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ. პარაგრაფები 53-54 ზემოთ). იმავე მიზეზებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ასევე არ შეეძლო მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი ბრძანების გაცემა.

64. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას გონივრულ ექვს მიღმა, რომ არსებობდა მე-4 ოქმის მე-2 მუხლის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

X. კონვენციის მე-8 მუხლისა და 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის შესაძლო დარღვევა

65. მომჩივანი მთავრობა ასევე ჩიოდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა ხელს უშლიდა ეთნიკურ ქართველებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს სახლებთან, მიწასთან და სხვა ქონებასთან, ასევე, სასაფლაოებთან წვდომაში. მათ დასძინეს, რომ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა ასევე აცალკევებდა ოჯახებს. ამ მიმართებით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასევე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლი.

66. კონვენციის 8-ელ მუხლში ვკითხულობთ:

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში

ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

67. 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონისა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ან/და ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

68. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

A. ზოგადი პრინციპები

69. მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, თუ ის შეესაბამება კანონს. ეს ფორმულირება არა მხოლოდ გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისობის აუცილებლობას, არამედ უკავშირდება ამ კანონმდებლობის ხარისხს და მოითხოვს, რომ ის შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას (იხ. საქმე *Big Brother Watch and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 58170/13 და 2 სხვა, §332, 2021 წლის 25 მაისი). ანალოგიურად, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებითი პირობა იმისთვის, რომ 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა ჩაითვალოს ამ დებულებასთან თავსებადად, არის ის, რომ ის კანონიერი უნდა იყოს. კანონის უზენაესობა, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, თანდაყოლილია ამ მუხლისა, ისევე როგორც კონვენციის ყველა სხვა მუხლისა (იხ. საქმე *Béla Nagy v. Hungary* [GC], no. 53080/13, §112, 2016 წლის 13 დეკემბერი). არადიარეული სუბიექტების ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, იხ. საქმე *Mozer* (ციტირებული ზემოთ, §§136-41).

B. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

70. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაუპროტესტებია მოპასუხე მთავრობას. გარდა ამისა, ისინი დასტურდება მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო მასალებით (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ).

მაგალითად, „ამნესტი ინტერნეიშენალის“ 2018 წლის ანგარიშის „მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციის“ ზიანი ადამიანის უფლებებისთვის საქართველოში“ შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ (გვ. 34-36 და 42-45):

„ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მდებარე სოფლების შემოსავლის ძირითადი წყარო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად მოსავალს საკუთარი ოჯახების გამოსაკვებად იყენებდა, ხოლო დამატებით მოსავალს ყიდდა. ბევრს ჰყავდა პირუტყვი და ყიდდა რძის პროდუქტებს ადგილობრივ ბაზრებზე, როგორც თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე წვდომის დაკარგვამ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ შეასუსტა ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც უარყოფითად აისახება მათ უფლებაზე, ჰქონდეთ ცხოვრების შესაბამისი სტანდარტი.

საქართველო არ არის მაღალი შემოსავლის ქვეყანა, მოსახლეობის დაახლოებით 20% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. სიღარიბე უფრო მეტად არის გავრცელებული სოფლად და ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონს, სადაც გადის სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი. ეს ტერიტორია ითვლება ქვეყნის ყველაზე ღარიბ ნაწილად, მოსახლეობის 59% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

ადგილობრივმა მოსახლეობამ განუცხადა „ამნესტი ინტერნეიშენალს“, რომ მათ დაკარგეს წვდომა საძოვრებზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და ტყეებზე, რადგან რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა მათ მიწებზე მავთულხლართები და თხრილები დაამონტაჟეს. პროცესი წინასწარი კონსულტაციის ან, ხშირ შემთხვევაში, გაფრთხილების გარეშე დაიწყო და შესაბამისი მიწების მფლობელებს კომპენსაცია არ მიუღიათ.

თითოეულ სოფელში, რომელსაც ეწვივნენ „ამნესტი ინტერნეიშენალის“ დელეგატები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ, ადგილობრივმა მოსახლეობამ შორიდან აჩვენა დელეგატებს მიწები, რომლებიც მათ ეკუთვნოდა ღობეების აშენებამდე. ახლა მიწები სოფლებისგან მავთულხლართებით, თხრილებითა თუ ღობეებით არის განცალკევებული. რუსმა ოფიცრებმა დაამონტაჟეს ნიშნები ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომ ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია. ადგილობრივი ფერმერები ათწლეულების განმავლობაში ამუშავებდნენ ან იყენებდნენ თავიანთი სახლების მიმდებარე მიწას და ბევრ მათგანს აქვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები.

არ არსებობს ყოვლისმომცველი სტატისტიკა, თუ რამდენმა ოჯახმა დაკარგა რამდენი მიწა. საქართველოს ხელისუფლებამ განუცხადა „ამნესტი ინტერნეიშენალს“, რომ „ბორდერიზაციის“ დაწყებიდან 800-დან 1000-მდე ოჯახმა დაკარგა მთლიანად ან ნაწილობრივ წვდომა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, სამოვრებსა და ტყეებზე, რომლებზეც მათ ჰქონდათ უფლება, როგორც კერძო საკუთრება (ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები) ან როგორც საერთო სარგებლობის სასოფლო მიწები (ძირითადად, სამოვრები და ტყეები), სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ახლოს. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მახლობლად მდებარე სოფლების მაცხოვრებლებმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადეს, რომ თითოეულ სოფელში 10-დან 50 ჰექტრამდე სამოვრები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა რუსმა მესაზღვრეებმა 2011 წლიდან „ბორდერიზაციის“ პროცესში მიიტაცეს. 2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა (ომბუდსმენმა) დააფიქსირა, რომ ჯარიაშენის მხოლოდ ერთ სოფელში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ახლოს, 138 ოჯახიდან 60-მა დაკარგა წვდომა თავიანთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაღაც ნაწილზე, „ბორდერიზაციის“ გამო.

...

აფხაზეთის შემთხვევაში მიწის დაკარგვა რესპონდენტებმა მხოლოდ სოფელ ხურჩაში აღნიშნეს. ვინაიდან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი აფხაზეთსა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის მიუყვება მდინარე ენგურს – ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ბუნებრივი მარკერი – ადგილობრივმა მოსახლეობამ დაკარგა ნაკლები მიწა, ვიდრე სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში. მაშინ, როცა აფხაზეთი თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს მდინარით გამოყოფს, რაც აადვილებს იმის გაგებას, თუ სად არის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი გადის ზიგზაგად და კვეთს სოფლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირად ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც კი არ იციან, თუ სად გადის „საზღვარი“.

„ამნესტი ინტერნეიშენალის“ დელეგატების განცხადებით, სოფელი ხურჩა დარჩა სამოვრების გარეშე და ღობეებითაა შემოსაზღვრული, გარდა ვიწრო ღობისა, რომელიც სოფელს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან აკავშირებს. ხურჩის ზოგიერთმა ოჯახმა ასევე განაცხადა, რომ დაკარგა წვდომა ხუთ ჰექტარ თბილის პლანტაციებზე (რაიონში ყველაზე მომგებიანი სოფლის მეურნეობის სექტორი). ადგილობრივმა მოსახლეობამ „ამნესტი ინტერნეიშენალთან“ დაიჩივლა, რომ მათი პირუტყვი ხშირად ხვდება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მეორე მხარეს და იკარგება, რადგან არ შეუძლიათ მისი დაბრუნება; ისინი, ვინც ამას ცდილობენ, დაპატიმრების რისკის ქვეშაა.

ყველა ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ ვინც კარგავს მიწებს, ვერ პოულობს ალტერნატივას, ხელმისაწვდომი მიწის ნაკლებობის გამო. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2009 წლის მონაცემების თანახმად, შიდა ქართლში (საქართველოს რეგიონი, რომელიც მოიცავს „ბორდერიზაციას“ დაქვემდებარებულ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას) მთლიანი მიწის ფართობი შეადგენს 69 425 ჰექტარს, აქედან 56 682 ჰექტარი კერძო საკუთრებაშია, ხოლო დარჩენილი არაკერძო მიწის 95% (ანუ 12 116 ჰექტარი) უკვე იჯარით არის გაცემული სახელმწიფოს მიერ. მხოლოდ რამდენიმე გამოკითხულმა მაცხოვრებელმა უთხრა „ამნესტი ინტერნეიშენალს“, რომ თბილისის ხელისუფლების ორგანოებმა მათ შესთავაზეს ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, მაგრამ მაშინაც მათ უარი თქვეს, რადგან შეთავაზებული მიწის ნაკვეთები მათი სოფლებიდან უფრო შორს იყო, ვიდრე მათი თავდაპირველი მიწები და არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი წყალი.

...

„ბორდერიზაციამ“ და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ოჯახური ცხოვრების უფლებაზე, რადგან ძნელია, თუ არა შეუძლებელი, ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც აღმოჩნდნენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის საპირისპირო მხარეს, ეწვიონ ერთმანეთს.

თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული შერეული ქართულ-ოსური სოფელ წითელუბნის 60 წლის მკვიდრმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ უთხრა, რომ არ უნახავს თავისი და, რომელიც გათხოვილია და ცხოვრობს ეთნიკურად ოსურ სოფელ ორჭოსანში, სულ რაღაც ხუთ კილომეტრში, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მეორე მხარეს, ხუთი წლის განმავლობაში. მას სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზღვრის გადაკვეთა არ შეუძლია. მისი მონახულების ერთადერთი გზა მისი დისთვის არის 300 კმ მგზავრობა კავკასიის მთებში, რუსეთში ვლადიკავკაზის გავლით, შემდეგ იქიდან თბილისში და თბილისიდან მის სოფელში, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის საქართველოს მიერ კონტროლირებად მხარეს – მოგზაურობა, რომლის საშუალებაც მის დას არ აქვს.

იმ დიდი ოჯახებისთვის, რომლებიც აღმოჩნდნენ ამ რეგიონში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის საპირისპირო მხარეს, ერთმანეთის მონახულების ერთადერთი შესაძლებლობა არის ასეთი მოგზაურობა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონიდან, მაშინ, როცა პირდაპირი მანძილი სახლებს შორის ბევრ გაყოფილ სოფელში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გავლით შეიძლება იყოს რამდენიმე ასეული მეტრი. თბილისის მიერ კონტროლირებადი მხარის მაცხოვრებლებს რუსული ვლადიკავკაზის გავლით სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის მხარესაც კი არ შეუძლიათ გამგზავრება, რადგან, ახალგორელების თანახმად, დე ფაქტო თანამდებობის პირები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებს არ აძლევენ უფლებას, მოიწვიონ თავიანთი ნათესავები ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მეორე მხრიდან. შერეულ ქართულ-ოსურ ქორწინებაში მყოფი მოხუცები, რომლებმაც „ბორდერიზაციის“ შემდეგ გადაწყვიტეს თავიანთ სახლებში დარჩენა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში, მოკლებული არიან დახმარებასა და მხარდაჭერას ოჯახის ახალგაზრდა წევრებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მეორე მხარეს ან გადაწყვიტეს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ.

წითელუბნის მაცხოვრებლებმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადეს, რომ მავთულხლართებისა და ღობეების დამონტაჟებამდე ისინი თითქმის ყოველდღე მიდიოდნენ სოფელ ორჭოსანში ნათესავებთან, მათ შორის, შორეულ ნათესავებთან შესახვედრად. მათ განმარტეს, რომ „ბორდერიზაციის“ შემდეგ ზოგიერთი კვლავ ახერხებდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ფარულად გადაკვეთას ღამით, რასაც ზოგჯერ შედეგად მოჰყვებოდა მათი დაკავება რუსი ან დე ფაქტო თანამდებობის პირების მიერ.

სოფელ ნიქოზის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ისინი კვლავ ცდილობენ კონტაქტის შენარჩუნებას მეზობლებსა და მეგობრებთან, რომლებიც 2011 წლიდან იმყოფებიან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხარეს და, როცა ერთმანეთს ხედავენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ახლოს, ისინი საუბარს იწყებენ ღობესთან. თუმცა, მაცხოვრებლების განმარტებით, თუ რუსი მესაზღვრეები ხედავენ, რომ ეთნიკური ოსები ესაუბრებიან ღობის თბილისის მიერ კონტროლირებად მხარეს მყოფ ადამიანებს, ისინი ერევან და დაპატიმრებით იმუქრებიან.

სხვადასხვა წყაროსთან ინტერვიუების თანახმად, როგორც თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე გალისა და ახალგორის რაიონებში, „ბორდერიზაციამდე“ ადგილობრივი მაცხოვრებლები ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს ინარჩუნებდნენ მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობას. 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე ჩვეულებრივი იყო ქართულ-ოსური შერეული ოჯახები და ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ ბევრი სოფელი კვლავ ეთნიკურად შერეულია. აფხაზეთში, გალის ეთნიკური ქართველები კვლავ ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებთან და ხშირად სტუმრობენ მათ.

„ამნესტი ინტერნეიშენალისთვის“ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები საჭიროებენ ოფიციალურად დამტკიცებულ მოწვევას, რათა შეძლონ თავიანთი ნათესავების მონახულება გალის რეგიონში. გალის მაცხოვრებლებმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადეს, რომ მოწვევის მიღებას დაახლოებით 10 დღე სჭირდება და შეიძლება 5 000 რუბლამდე (73 აშშ დოლარი) დაჯდეს. თუმცა, ასეთი ნებართვების გაცემა ხშირად უარყოფილია ახსნა-განმარტების გარეშე, ხოლო გაცემის შემთხვევაში, ისინი ყოველთვის არ იძლევა აფხაზეთში შესვლის გარანტიას. გალის მაცხოვრებლებმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადეს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ხშირად ეუბნება უარს შესვლაზე მოწვევის მფლობელებს, ახსნა-განმარტების გარეშე. თბილისში მცხოვრებმა აფხაზეთის გალის რეგიონიდან დევნილმა პირმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადა, რომ 2017 წლის ივლისში ის არ შეუშვეს გალში მომაკვდავი ბაბუის მოსახლეობლად, რომელსაც გულის შეტევა დაემართა, თუმცა მას მოწვევა ჰქონდა. ამ პირმა განმარტა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ის ენგურის ხიდის გამშვებ პუნქტზე მას შემდეგ გააჩერეს, რაც მან მოწვევა წარადგინა. თანამშრომლებმა მას უთხრეს, რომ საბოლოო ნებართვის მისაღებად უნდა დაელოდონ ზარს სოხუმიდან. გამშვებ პუნქტზე ის ორი დღე ელოდა და ზარი რომ არ განხორციელებულა, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. შესვლის უარის მიზეზები არ დაუსახელებიათ. ამ პირის თანახმად, მან ვერ შეძლო ბაბუის ნახვა, რომელიც მალევე გარდაიცვალა. „ამნესტი ინტერნეიშენალის“ დელეგატებმა გაიგეს სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებ, როდესაც 2018 წლის მარტში ზუგდიდის რეგიონში გალის რაიონის მოსახლეობას ესაუბრნენ.

გალში მცხოვრები ქართველები, რომლებსაც არ აქვთ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული საჭირო დოკუმენტები, ვერ ნახულობენ თავიანთ ნათესავებს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რადგან ამ დოკუმენტების გარეშე ისინი ან ვერ ტოვებენ აფხაზეთს და ვერ გადადიან თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ან ვერ ბრუნდებიან უკან აფხაზეთში.

...

სოფელ ხურვალეთში გამოკითხულებმა „ამნესტი ინტერნეიშენალს“ განუცხადეს, რომ 2013 წელს მათ დაკარგეს წვდომა სოფლის სასაფლაოზე, რომელიც მავთულხლართებს მიღმა აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება ასევე იუწყება, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაკარგა წვდომა სოფელ ქვეშის სასაფლაოზე. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მონაკვეთზე რვა სოფლის სასაფლაო აღმოჩნდა

მავთულხლართების ღობესთან და რუსი მესაზღვრეების და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სამხედრო ძალების მიერ დაპატიმრების საფრთხის გამო, ადგილობრივ მოსახლეობას ურჩევენ, არ მოინახულონ ისინი. ეს სასაფლაოები საოჯახო სამარხებია, რომლებსაც ჩვეულებრივ რეგულარულად სტუმრობენ ადგილობრივი რელიგიური ტრადიციის ფარგლებში“.

71. სასამართლო მიიჩნევს, რომ ინციდენტები, რომლებზეც მიუთითებს საერთაშორისო მასალები, საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19-ზემოთ). ითვალისწინებს რა სადავო ზომების მარეგულირებელ ხასიათსა და მათ გამოყენებას ყველა შესაბამისი ადამიანის მიმართ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტი (იხ. პარაგრაფი 19-ზემოთ) ასევე დადგენილია გონივრულ ექვს მიღმა.

72. უბრუნდება რა ამ პრაქტიკის მე-8 მუხლთან და 1-ელი ოქმის 1-ელ მუხლთან შესაბამისობის საკითხს, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ შეეძლო „კანონიერი დაპატიმრების“ ბრძანების გაცემა მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ. პარაგრაფები 53-54-ზემოთ). იმავე მიზეზების გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ორგანოების მიერ კონვენციის მე-8 მუხლით ან 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა ასევე არ შეიძლება იყოს კანონიერი.

73. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას გონივრულ ექვს მიღმა, რომ არსებობდა კონვენციის მე-8 მუხლისა და 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

XI. 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

74. მომჩივანი მთავრობა აცხადებდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს უარი ეთქვათ ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლებაზე. „ბორდერიზაციის“ პროცესმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის გამო. მომჩივანმა მთავრობამ განაცხადა, რომ არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ სადავო ზომები მისდევდა ლეგიტიმურ მიზანს. მათ დასძინეს, რომ ამ ზომების ერთადერთი მიზანი იყო სეპარატისტული იდეოლოგიის გამყარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ენისა და კულტურის იძულებითი რუსიფიკაციისთვის. ისინი აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება“.

75. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით.

A. ზოგადი პრინციპები

76. სასამართლო მიუთითებს 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროს განმარტებაზე, რომელიც მან წარმოადგინა საქმეში *“relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”* ((არსებითი მხარე), 1968 წლის 23 ივლისი, Series A no. 6 – შემდგომში *„Belgian linguistic case“*). ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა სახელმწიფოებისგან, ჩამოეყალიბებინათ რაიმე კონკრეტული საგანმანათლებლო სისტემა, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს აძლევდა უფლებას, გამოეყენებინათ განათლების ის საშუალებები, რომლებიც იმ დროს არსებობდა. კონვენცია არ ადგენდა რაიმე „კონკრეტულ ვალდებულებებს ამ საშუალებების ოდენობასთან და მათი ორგანიზების ან სუბსიდირების წესთან დაკავშირებით“. სასამართლომ დაასკვნა, რომ 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება არ „აკონკრეტებდა იმ ენას, რომელზედაც [უნდა] მიმდინარეობდეს განათლება, რათა დაცული იყოს განათლების უფლება“. თუმცა, „განათლების უფლება უაზრო იქნებოდა, თუ ის მოსარგებლეთა სასარგებლოდ არ იგულისხმებდა უფლებას, მიიღონ განათლება ეროვნულ ენაზე ან ერთ-ერთ ეროვნულ ენაზე, გარემოებებიდან გამომდინარე“ (იხ. საქმე *„Belgian linguistic case“*, ციტირებული ზემოთ, გვ. 31, §3). 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროს ეს განმარტება შემდგომში დადასტურდა სხვა საქმეებშიც (იხ., განსაკუთრებით, საქმე *Catan and Others v.*

77. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განათლების უფლება არ არის აბსოლუტური, არამედ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს. იმ პირობით, რომ არ დააზარალებს უფლების არსს, ეს შეზღუდვები ნებადართულია ირიბად, რადგან ხელმისაწვდომობის უფლება, „თავისი ხასიათით, მოითხოვს სახელმწიფოს მიერ რეგულირებას“ (იხ. საქმე *“Belgian linguistic case”*, ციტირებული ზემოთ, გვ. 32, § 5). იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაწესებულმა შეზღუდვებმა არ დააზიანოს ეს უფლება ისე, რომ შელახოს მისი არსი და გახადოს არაეფექტური, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ის განჭვრეტადია შესაბამისი პირებისთვის და მისდევს ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებთან მიმართებით არსებული პოზიციისგან განსხვავებით, ის არ არის შეზღუდული 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში „ლეგიტიმური მიზნების“ ამომწურავი ჩამონათვალით (იხ. საქმე *Catan and Others*, ციტირებული ზემოთ, § 140). გარდა ამისა, შეზღუდვა თავსებადი იქნება 1-ელი ოქმის მე-2 მუხლთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს თანაზომიერების გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის (იხ. საქმე *Leyla Şahin v. Turkey* [GC], no. 44774/98, § 154, ECHR 2005-XI).

B. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმეში არსებული ფაქტების მიმართ

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაუპროტესტებია მოპასუხე მთავრობას. გარდა ამისა, ისინი დასტურდება მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო მასალებით (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ).

მაგალითად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2019 წლის 27 მარტის კონსოლიდირებული ანგარიშის (SG/Inf(2019)12) შესაბამის ნაწილში საქართველოში კონფლიქტის შესახებ ნათქვამია:

„54. მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რუსულ ენაზე გადასვლა შეეხო ახალგორის, ზნაურისა და სინაგურის ქართულენოვანი სკოლების 1-ელი-მე-4 კლასების დაახლოებით 100 მოსწავლეს. ისინი ამ პრაქტიკას დისკრიმინაციულად ახასიათებენ და აღნიშნავენ, რომ ახალგორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა მოკლებულია მშობლიურ ენაზე წვდომას“.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2022 წლის ანგარიშში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (A/HRC/51/64, 2022 წლის 12 ივლისი), კერძოდ, ნათქვამია შემდეგი:

„55. შეშფოთება რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართულის, როგორც სწავლების ენის გამოყენების შეზღუდვის გამო, რაც განსაკუთრებით ეხება ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას.“

56. ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის სექტემბრიდან გალისა და მიმდებარე ტერიტორიების სკოლებში პირველიდან მეოთხე კლასამდე სწავლების ენად ქართულს ეტაპობრივად რუსული ანაცვლებს. 2021 წლის სექტემბერში რუსულმა ენამ ჩაანაცვლა ქართული ენა გალის რაიონის ყველა დანარჩენი ქართული სკოლის ორ უფროს კლასში, რითაც დაასრულა ქართული სკოლების სწავლების რუსულ ენაზე გადასვლა. ქართულ ენაზე სწავლის ბოლო თაობის სტუდენტებმა სწავლა 2022 წლის მაისში დაასრულეს. საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკა წარმოადგენს ენობრივ დისკრიმინაციას და აღნიშნავს, რომ ის ყოველწლიურად ართმევს 4000-ზე მეტ სკოლის მოსწავლეს და საბავშვო ბაღების დაახლოებით 600 აღსაზრდელს მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლებას.

57. მიღებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონში ყველა მასწავლებელი კარგად არ ფლობს რუსულს და შესაძლოა გადაერთოს ქართულზე, როცა საგნის ახსნა არ შეუძლია. ბავშვებს, განსაკუთრებით სოფლად, ექმნებათ ენობრივი ბარიერები და ბევრს უწევს დამატებით ფასიან გაკვეთილებზე დასწრება სასწავლო გეგმის შესასრულებლად, რაც დამატებით ფინანსურ ტვირთად აწევს მათ ოჯახებს. რუსული სახელმძღვანელოები ნაკლებობაა და ბევრ ოჯახს არ აქვს მათი ყიდვის საშუალება. სწავლების ენის ცვლილება და მასთან დაკავშირებული პრობლემები ძირს უთხრის სკოლებში განათლების ხარისხს და, სავარაუდოდ, გამოიწვევს აფხაზეთში ეთნიკურად ქართველი ბავშვების აკადემიური მოსწრების მნიშვნელოვან დაცემას. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ეთნიკურად ქართველების მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა დისკრიმინაციულია; აფხაზური, სომხური და რუსული თემები აფხაზეთში აგრძელებენ განათლების მიღებას მშობლიურ ენებზე სხვადასხვა ხარისხით.

58. თავის წარდგინებებში საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოები ხელს უშლიან ეთნიკურად ქართველ აბიტურიენტებს, ისწავლონ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ უნივერსიტეტებში და ემუქრება მათ, რომ ისინი ვერ შეძლებენ სამხრეთ ოსეთში დაბრუნებას, თუ ამას გააკეთებდნენ“.

თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს 2017 წლის ანგარიშში „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“ (გვ. 66-67) ნათქვამია შემდეგი:

„კონფლიქტის საზღვარს ყოველდღიურად რამდენიმე სკოლის მოსწავლე კვეთს, თუმცა, მათი რიცხვი სტაბილურად მცირდება: 2009-2010 წლებში 128-დან დაახლოებით 50-მდე შემცირდა 2014-2016 წლებში, ხოლო 2016-2017 წლებში – 38-მდე. 2017 წელს გამშვები პუნქტების დახურვის შემდეგ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაუარესდა.

...

განსაკუთრებით შემამფოთებელია შემთხვევები, როდესაც ბავშვები გზას არაკონტროლირებად ადგილებში კვეთენ – იქნება ეს მეზობლის თხილის პლანტაციის თუ ბაღის გავლით, რომელიც მისდევს საზღვარს. ამ ბავშვებს რეგულარულად ექმნებათ პრობლემები საზღვრის გადაკვეთისას და არის შემთხვევები, როდესაც მათ აჩერებენ ან აპატიმრებენ რუსი მესაზღვრეები, რუსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგობების გათვალისწინებით ე.წ. არაკონტროლირებადი გადაკვეთის მიმართ, როგორც განხილულია ქვემოთ. ცოტა ხნის წინ, 2016 წლის 1 ნოემბერს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოთხი მოსწავლე დააკავეს, რომლებიც განმუხურში სკოლაში წასასვლელად არაკონტროლირებადი გადასასვლელის გამოყენებას ცდილობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი დააპატიმრეს და გადაიყვანეს რუსეთის სამხედრო ბაზის ერთ-ერთ ობიექტში. მოგვიანებით მათ მშობლებს ურჩიეს, რომ ბავშვებს შეეძლოთ გადაკვეთა, თუ ისინი რეგულარულ გამშვებ პუნქტს გამოიყენებდნენ. თუმცა, ზოგიერთი ბავშვისთვის კონტროლირებადი გამშვები პუნქტის გავლით შემოვლითი გზა 10 კილომეტრამდეა ერთი მიმართულებით.

79. სასამართლო მიიჩნევს, რომ ინციდენტები, რომლებზეც მიუთითებს საერთაშორისო მასალები, საკმარისად მრავალრიცხოვანი და ურთიერთდაკავშირებულია, რომ წარმოადგენდეს არა მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ წარმოადგენდეს ნიმუშს ან სისტემას (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ). ითვალისწინებს რა სადავო ზომების მარეგულირებელ ხასიათსა და მათ გამოყენებას ყველა შესაბამისი ადამიანის მიმართ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „ოფიციალური ტოლერანტობის“ ელემენტი (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ) ასევე დადგენილია გონივრულ ეჭვს მიღმა.

80. რაც შეეხება ამ პრაქტიკის თავსებადობას 1-ელი ოქმის მე-2 მუხლთან, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება თუ არა ქართული ჩაითვალოს აფხაზეთის ან/და სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად (იხ. პარაგრაფი 76 ზემოთ). ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები არ დავობენ, რომ ორი სეპარატისტული რეგიონის „კანონმდებლობის“ თანახმად, აფხაზეთში ოფიციალური ენებია მხოლოდ აფხაზური და რუსული, ხოლო სამხრეთ ოსეთში – ოსური და რუსული. თუმცა, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ აშკარაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობა (ევროპის საბჭოს ყველა წევრის ჩათვლით) აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად და მხარს უჭერს მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად (იხ. მაგ., ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში კონფლიქტის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა მინისტრთა მოადგილეების 1315-ე შეხვედრაზე 2018 წლის 2 მაისს (CM/Del/Dec(2018)1315/2.1); ევროპარლამენტის 2018 წლის 14 ივნისის რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რუსეთის მიერ დაპყრობიდან 10 წლის შემდეგ (P8_TA(2018)0266); და რეზოლუცია 2008 წლის აგვისტოს ომიდან ათი წლის შემდგომი მდგომარეობის შესახებ საქართველოში, მიღებული ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საპარლამენტო ასამბლეის მიერ ბერლინში ოცდამეშვიდე ყოველწლიურ სხდომაზე 2018 წლის 7-11 ივლისს). ამდენად, ქართული ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, შეიძლება ჩაითვალოს როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისათვის, ხოლო სადავო ზომები წარმოადგენს ჩარევას ამ მუხლით გარანტირებულ უფლებებში, მიიღონ განათლება ერთ-ერთ ეროვნულ ენაზე (იხ. საქმე *Cyprus v. Turkey*, ციტირებული ზემოთ, §§273-80, ბერძნული ენის სწავლების ენად გამოყენებასთან დაკავშირებით კვიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელსაც მართავს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, და საქმე *Catan and Others*, ციტირებული ზემოთ, §§141-50, მოლდოვური/რუმინული ენის სწავლების ენად გამოყენებასთან დაკავშირებით მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომელსაც მართავს „დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკა“; შეუპირისპირეთ საქმე *Valiullina and Others v. Latvia*, nos. 56928/19 და 2 სხვა, §§128-36, 2023 წლის 14 სექტემბერი, ლატვიაში რუსული ენის სწავლების ენად გამოყენებასთან დაკავშირებით).

81. სასამართლო ეთანხმება მომჩივან მთავრობას, რომ სასამართლოს წინაშე არ არსებობს რაიმე

მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ სადავო ზომები მისდევდა ლეგიტიმურ მიზანს. მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ ქართულ ენაზე განათლების მიღება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში შესაძლოა საკმარისი იყოს 1-ელი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, ეს ვარიანტი არარეალურია და დაუქვემდებარებს ამ ბავშვებს გრძელ და საშიშ მოგზაურობას (იხ., მაგ., თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს 2017 წლის ანგარიში „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, ციტირებული პარაგრაფში 78 ზემოთ). ანალოგიურ კონტექსტში სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ დაწყებითი და საშუალო განათლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით, თითოეული ბავშვის პიროვნული განვითარებისა და მომავალი წარმატებისთვის მიუღებელია ბავშვებისა და მათი მშობლების იძულება, გააკეთონ ასეთი რთული არჩევანი მხოლოდ ერთი, სეპარატისტული იდეოლოგიის განმტკიცების მიზნით (იხ. საქმე *Catan and Others*, ციტირებული ზემოთ, §144).

82. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს უფლება იმდენად შეიზღუდა, რომ დაირღვა მისი არსი და გახდა არაეფექტური.

83. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არის საკმარისი მტკიცებულება, რათა დაასკვნას გონივრულ ეჭვს მიღმა, რომ არსებობდა 1-ელი ოქმის მე-2 მუხლის საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა.

XII. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

84. მომჩივანი მთავრობა ასევე დაეყრდნო კონვენციის მე-13, მე-14, მე-18 და 38-ე მუხლებს. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია დაკვირვებები არსებით მხარესთან დაკავშირებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებში მომჩივანი მთავრობის პრეტენზიები ამ მიმართებით არის ფაქტობრივად იგივე პრეტენზიები, თუმცა დანახული სხვა კუთხით, როგორც ისინი, რომლებიც სასამართლომ უკვე განიხილა კონვენციის მე-2, მე-3, მე-5(1) და მე-8 მუხლებთან, 1-ელი ოქმის 1-ელ და მე-2 მუხლებთან და მე-4 ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებით. მან დაადგინა, რომ ეს მუხლები დაირღვა. ამიტომ, არ არის აუცილებელი, განიხილოს, დაირღვა თუ არა ამ შემთხვევაში კონვენციის მე-13, მე-14, მე-18 და 38-ე მუხლები (იხ., მაგ., საქმე *Cyprus v. Turkey*, ციტირებული ზემოთ, §§ 199, 206, 317 და 388, და საქმე *Georgia v. Russia (II)*, ციტირებული ზემოთ, § 340).

XIII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

85. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

86. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი გადასაწყვეტად მზად არ არის.

ამ მოტივით სასამართლო ერთსულოვნად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური და პროცედურული ასპექტები;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5(1) და მე-8 მუხლები, 1-ელი ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლები და მე-4 ოქმის მე-2 მუხლი;

3. ადგენს, რომ არ არის საჭირო შემოწმება იმისა, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-13, მე-14, მე-18 და 38-ე მუხლები;

4. ადგენს, რომ 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი გადასაწყვეტად მზად არ არის;

შესაბამისად,

(a) იტოვებს თავისთვის ამ საკითხს სრულად;

(b) სთავაზობს მომჩივან მთავრობას და მოპასუხე მთავრობას, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით და, კერძოდ, აცნობონ სასამართლოს ნებისმიერი შეთანხმების შესახებ, რომელსაც შეიძლება მიაღწიონ მათ;

(e) იტოვებს თავისთვის მომდევნო პროცედურას და ახდენს პალატის თავმჯდომარეზე მისი დადგენის უფლებამოსილების დელეგირებას, საჭიროების შემთხვევაში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობა 2024 წლის 9 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ჰასან ბაკირჯი
განმწესრიგებელი

არნფინ ბორდსენი
თავმჯდომარე

¹ „აფხაზეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“ აღნიშნავს საქართველოს იმ რეგიონებს, რომლებიც ამჟამად არ ექვემდებარება საქართველოს მთავრობის დე ფაქტო კონტროლს. აფხაზეთში ცხოვრობს დაახლოებით 200 000 ადამიანი, მათ შორის, დაახლოებით 50 000 ეთნიკურად ქართველია, კონცენტრირებული გალის რაიონში; სამხრეთ ოსეთში – დაახლოებით 30 000 ადამიანი, მათ შორის, მცირე რაოდენობით ეთნიკურად ქართველი კონცენტრირებულია ახალგორის რეგიონში (იხ. კრიზისის საერთაშორისო ჯგუფის ანგარიში „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი: დროა ვაჭრობაზე საუბრის“, 2018, გვ. 1).

² აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და სირიამ აღიარეს.

³ აფხაზეთთან დაკავშირებით იხილეთ 2014 წლის „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის ალიანსისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ და „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს ანგარიში, 2017 წლის ივლისი, გვ. 69-70; სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით იხილეთ 2015 წლის „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის ალიანსისა და ინტეგრაციის შესახებ“.

⁴ იხილეთ „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის, აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ძალისხმევის შესახებ“ და „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ძალისხმევის შესახებ“, ორივე 2009 წლით დათარიღებული.

⁵ იხილეთ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ანგარიში „სამხრეთ ოსეთი: აღიარების ტვირთი“, 2010, გვ. 8 და საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ანგარიში „აფხაზეთი: გრძელი გზა შერიგებამდე“, 2013, გვ. 3. მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ციფრები ოდნავ მაღალი იყო: დაახლოებით 1,100 რუსი მესაზღვრე სამხრეთ ოსეთში და დაახლოებით 2,000 – აფხაზეთში.

⁶ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია განლაგდა 2008 წლის სექტემბერში, როგორც შეუიარაღებელი სამოქალაქო სამეთვალყურეო მისია. მიუხედავად იმისა, რომ მისი მანდატი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ამ დრომდე უარს ამბობს მათ კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე წვდომის მიცემაზე.

⁷ იხილეთ „EUMM Monitor“, გამოცემა 7, ოქტომბერი 2018, გვ. 3.

იხილეთ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების შესახებ, A/HRC/26/33/Add.1, 2014 წლის 4 ივნისი, §45, და „ამნესტი ინტერნეიშენალის“ ანგარიში „მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციის“ ზიანი ადამიანის უფლებებისთვის საქართველოში“, 2018 წ., გვ. 20 და 24.

⁹ იხილეთ „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, თომას ჰამერბერგისა და მაგდალენა გრონოს ანგარიში, 2017 წლის ივლისი, გვ. 67.

¹⁰ იხილეთ „ამნესტი ინტერნეიშენალის“ ანგარიში „მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციის“ ზიანი ადამიანის უფლებებისთვის საქართველოში“, 2018 წ., გვ. 21-23. საქართველოს ორგანოების მიერ „ამნესტი ინტერნეიშენალისთვის“ 2018 წლის მარტში მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მავთულხლართის და სხვა ბარიერების საერთო სიგრძე სამხრეთ ოსეთთან სასაზღვრო ზოლის გასწვრივ იმ დროს იყო 350 კილომეტრიდან 52 კმ-ზე მეტი, ხოლო აფხაზეთთან სასაზღვრო ზოლის გასწვრივ, 145 კილომეტრიდან დაახლოებით 49 კმ.